



ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია



**ბიბლიოთეკა მუშაობს:**

**ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დღის 09.30-სთ-დან – 18.00-მდე.**

**ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება**

- ❖ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს.
- ❖ ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვთ:
  1. კოლეჯის სტუდენტებს;
  2. კოლეჯის პერსონალს;
- ❖ სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება სტუდენტობის პერიოდში ერთხელ.. სტუდენტი, რომელიც ერთხელ გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის.
- ❖ სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისათვის საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ტელეფონის ნომერი. შეივსოს მკითხველის ბარათი საიდენტიფიკაციო ნომრით. კოლეჯის პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის პოზიციებზე ყოფნის განმავლობაში.

**ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა და დაბრუნება:**

- ❖ წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები, თუ მთელი წიგნი.
- ❖ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით.
- ❖ ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ათი სამუშაო დღის ვადით.
- ❖ წიგნის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია 2 დღის ვადაში ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან ანაზღაუროს გატანილი წიგნის საფასური კოლეჯის ფინანსურ სამსახურში ანგარისშწორებით.
- ❖ წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.



## ბიბლიოთეკაში ქცევის წესები:

### სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია:

- ❖ ხმამაღალი საუბარი.
- ❖ მკვეთრი/უხეში მოძრაობა.
- ❖ ტელეფონის გამოყენება
- ❖ თამბაქოს მოწევა.

ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარს უფლება აქვს, მოითხოვოს სამკითხველო დარბაზის დატოვება

### კომპიუტერთ სარგებლობა

კომპიუტერთ სარგებლობის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია დაიცვას კომპიუტერის მოხმარების წესი. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ მკითხველს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები.

#### დაშვებულია :

- ❖ ტექსტის შეყვანა და რედაქტირება
- ❖ ინტერნეტით მასალების მოძიება და დამუშავება
- ❖ CD დისკების გამოყენება დაშვებულია ბიბლიოტეკართან შეთანხმებით
- ❖ ელექტრონული ფოსტით სარგებლობა
- ❖ კოლეჯის ვებგვერდით სარგებლობა

#### დაუშვებელია:

- კომპიუტერში რაიმე პროგრამული ფაილის ჩაწერა და წაშლა
- კომპიუტერის გამოყენება თამაშების და სხვა გართობისათვის
- კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში დაუშვებელია ხარვეზის თვითნებურად გასწორება.
- კომპიუტერთ სარგებლობისთვის არსებობს ლიმიტი და იგი შეადგენს ერთ საათს.

მკითხველს შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული ბიბლიოთეკით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე kpc.ge სადაც წარმოდგენილია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა. მკითხველს შეუძლია ლიტერატურას გაეცნოს ონლაინ რეჟიმში ან მისთვის სასურველი მასალა ჩამოტვირთოს PDF ფორმატით ან ამობეჭდოს.. ყველა საკითხის გაურკვეველობის შემთხვევაში მკითხველს შეუძლია მიმართოს ბიბლიოთეკარს დასახმარებლად.

აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკა უფლებამოსილია დაუწესოს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის შეზღუდვა .